აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ანტიკორუფციული პოლიტიკა
(Anti-Corruption Policy)

I. მიზანი

1. წინამდებარე ანტიკორუფციული პოლიტიკის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში კორუფციის, მექრთამეობის, კომერციული მოსყიდვის, ზეგავლენით ვაჭრობისა და სხვა არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის პრევენცია, გამოვლენა და აღმოფხვრა, ასევე ანტიკორუფციული კულტურის დამკვიდრება.
2. პოლიტიკა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის:
   - გამჭვირვალობასა და კეთილსინდისიერებას;
   - ეთიკურობასა და კანონიერებას;
   - ინსტიტუციურ ნდობასა და ანგარიშვალდებულებას.

II. მოქმედების სფერო

1. პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის:
   - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე;
   - ადმინისტრაციულ პერსონალზე;
   - სტუდენტებზე — იმ ნაწილში, სადაც ისინი ჩართულნი არიან ადმინისტრაციულ, კვლევით ან ფინანსურ პროცესებში;
   - კონტრაქტორებზე, მომწოდებლებზე, დონორებსა და პარტნიორებზე — უნივერსიტეტთან ურთიერთობის ფარგლებში.
2. პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის სახელით განხორციელებულ ყველა საქმიანობაზე, მათ შორის:
   - ფინანსურ ოპერაციებზე;
   - შესყიდვებზე;
   - ინვესტიციებზე;
   - შემოწირულობებისა და გრანტების მიღებაზე.

III. სამართლებრივი საფუძველი

პოლიტიკა ეფუძნება:

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრინციპებს;
- კარგი მმართველობისა და ინსტიტუციური ეთიკის სტანდარტებს;

- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს (ESG), მათ შორის მმართველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნებს;
- „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებასა და შიდა მარეგულირებელ აქტებს.

IV. ძირითადი ცნებები

1. **კორუფცია** – უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება პირადი ან სხვა პირის სასარგებლოდ ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით.
2. **მექრთამეობა –** ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, მინიჭება, მიღება ან მოთხოვნა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად.
3. **ზეგავლენით ვაჭრობა –** პირის გავლენის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მისაღებად.
4. **ინტერესთა კონფლიქტი –** პირის პირადი, ფინანსური, პროფესიული ან სხვა ინტერესის დაპირისპირება უნივერსიტეტის ინტერესებთან, რომელიც რეალურად ან პოტენციურად გავლენას ახდენს მის სამსახურებრივ გადაწყვეტილებაზე ან ქმნის მიუკერძოებლობის დარღვევის რისკს.

V. ძირითადი პრინციპები

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ;
- კანონიერება და ეთიკური ქცევა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია;
- პროპორციული და სამართლიანი რეაგირება დარღვევებზე;
- სამართლიანი და თანაბარი მოპყრობა.

VI. აკრძალული ქცევა

დაუშვებელია:

- ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზება, მიღება ან შუამავლობა;
- უკანონო ან არაეთიკური სარგებლის მიღება;
- გავლენის გამოყენება პირადი ან მესამე პირის სასარგებლოდ;
- გადაწყვეტილებების მიღება ინტერესთა კონფლიქტის პირობებში;
- დოკუმენტაციის გაყალბება ან ინფორმაციის დამალვა.

VII. საჩუქრები და სტუმართმასპინძლობა

1. დასაშვებია მხოლოდ:

    - სიმბოლური ღირებულების საჩუქრები;
    - პროფესიული ეტიკეტის ფარგლებში გაწეული სტუმარმასპინძლობა, რომელიც არ ქმნის ინტერესთა კონფლიქტის ან არამართლზომიერი გავლენის რისკს (მათ შორის, ოფიციალური შეხვედრების, სამუშაო ღონისძიებებისა და აკადემიური აქტივობების ფარგლებში ყავის, ჩაის ან მსუბუქი სადილის შეთავაზება).
2. აკრძალულია:
    - საჩუქრები ან მომსახურებები, რომლებიც სცდება გონივრულ და ზომიერ ფარგლებს;
    - ქმნის გავლენის, ვალდებულების ან უპირატესობის მოლოდინს;
    - უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებას.
3. სიმბოლური ღირებულების საჩუქრის მაქსიმალური დასაშვები ღირებულება განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით.

VIII. ინტერესთა კონფლიქტის მართვა

1. უნივერსიტეტის თანამშრომლები ვალდებულნი არიან:
    - განაცხადონ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ;
    - თავი შეიკავონ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისგან.
2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც პირის პირადი, ფინანსური, პროფესიული ან სხვა ინტერესები შესაძლოა:
    - რეალურად ან პოტენციურად ზემოქმედებდეს მის სამსახურებრივ გადაწყვეტილებაზე;
    - ქმნიდეს მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის შთაბეჭდილების დარღვევის რისკს.
3. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან შესაძლო არსებობის შესახებ წერილობით განაცხადოს უშუალო ხელმძღვანელთან და/ან ეთიკის კომისიის თავმჯდომარესთან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
4. ინტერესთა კონფლიქტის განუცხადებლობა განიხილება როგორც ეთიკური დარღვევა და იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით.

IX. ინფორმირება დარღვევების შესახებ

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს კეთილსინდისიერად და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში აცნობოს კორუფციის ან პოლიტიკის დარღვევის შესახებ.
2. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს:
    - უშუალო ხელმძღვანელთან;
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
    - უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კონფიდენციალური არხით.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- კონფიდენციალურობას;
- შურისძიებისგან დაცვას, კეთილსინდისიერად გაკეთებული განცხადების შემთხვევაში.

X. მონიტორინგი და ანგარიშგება

1. პოლიტიკის შესრულებას მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. გამოვლენილი რისკები და ტენდენციები აისახება:
   - შიდა ანგარიშებში;
   - ინსტიტუციური თვითშეფასების დოკუმენტებში.

XI. დარღვევები და სანქციები

1. პოლიტიკის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა დისციპლინური წესების შესაბამისად.
2. სანქციები უნდა იყოს:
   - პროპორციული;
   - სამართლიანი;
   - კანონთან შესაბამისი.

XII. პოლიტიკის რევიზია

1. პოლიტიკა ექვემდებარება გადახედვას პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ.
2. ცვლილებები მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.
3. განახლებული ვერსია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

XIII. ძალაში შესვლა

1. წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.